



ბატონიშვილის ბიბლიოთეკა

ციტირებისთვის:

*ანტიდისკრიმინაციული სამართალი, მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო
თბილისი, 2021*

ელექტრონული იურიდიული ბიბლიოთეკა www.princelibrary.ge

შექმნილია USAID/PROLoG-ის ფინანსური ხელშეწყობით



სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი



USAID
ამერიკელი ხალხისგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

ანტიდისკრიმინაციული სამართალი

მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა

UDC(უკ) 340.130.53(072)
ა-691

წინამდებარე მეთოდური სახელმძღვანელო შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი ნებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მშვეობით. სახელმძღვანელოს შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი. იგი არ წარმოადგენს ამერიკის მთავრობის ოფიციალურ მოსაზრებას და არ ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აღმოსავლეთ დასავლეთის მართვის ინსტიტუტის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისაგან

EAST • WEST
MANAGEMENT
INSTITUTE

კანონის უზენაესობის მხარდაჭერა
საქართველოში (PROLoG)

წიგნი გამოიცემა USAID/PROLoG-ის მიერ დაფინანსებული ადამიანის უფლებების პროექტის ფარგლებში.

ანტიდისკრიმინაციული სამართალი
მასწავლებლის მეთოდური სახელმძღვანელო
სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2021

შემდგენლები: დიმიტრი გეგენავა, ქეთევან ხომერიკი
კაზუსების ავტორები: თამარ ონიანი, გვანცა ლაშხია
კორექტურა: ციცინო ხითარიშვილი
გარეკანი: რენე მაგრიტი, კოსმოსის ხმა

Anti-Discrimination Law
Teacher's Manual
Sulkhan-Saba Orbeliani University Press, 2021

Authors: Dimitry Gegenava, Ketevan Khomeriki
Authors of Cases: Tamar Oniani, Gvantsa Lashkhia
Copy Editor: Tsitsino Khitarishvili
Cover: Rene Magritte, Voice of Space

© ავტორები, 2021
© სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი, 2021

ISBN 978-9941-8-3355-7

სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და აქტივობები

„ანტიდისკრიმინაციული სამართალი“ სწავლების მე-7, საბაკალავრო დონის საგანია, ხოლო „თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები“ და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სამართალი“ კი სწავლების მე-8, სამაგისტრო საფეხურზე ისწავლება. სწავლების დონეთა მიხედვით შესაძლებელია განსხვავდებოდეს მათი შედეგების მიღწევის მექანიზმები, ასევე, განსახორციელებელი აქტივობები, ვინაიდან ეს ყოველივე სტუდენტის არსებული და შესაძენ უნარებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის თვალსაზრისით სამივე საგანში გამოიყენება ლექცია, სემინარი და პრაქტიკული მუშაობა კომბინირებულად. მთავარი მახასიათებელია სტუდენტის განსაკუთრებული ჩართულობა და აქტიურობა როგორც სემინარის, პრაქტიკული მუშაობის, ისე ლექციის მიმდინარეობის პროცესში. სამაგისტრო სწავლების დონის დისციპლინები სრულად პრაქტიკული უნარების გამომუშავებასა და განვითარებაზეა ორიენტირებული, ამიტომ ამ საგნებში პრაქტიკულ მუშაობას და სასემინარო დატვირთვას ექცევა ყურადღება.

სამივე დისციპლინის უმთავრესი ამოცანა პრაქტიკულ პრობლემებსა და შედეგზე ორიენტირებული ცოდნის მიცემაა, რაც უმთავრესად სწორედ პრაქტიკული უნარების გამომუშავებითა და განვითარებით მიიღწევა, ამიტომაც უმთავრესია, გამოყენებულ იქნეს ისეთი აქტივობები, რომლებსაც უშუალოდ ეს დანიშნულება ექნება. ამის გათვალისწინებით, აქტივობებიდან გამოიყენება „სამართლის დარგობრივ მახასიათებელში“ მოცემული თითქმის ყველა აქტივობის ფორმა, განსაკუთრებით შემთხვევათა ანალიზი, ინდუქცია-დედუქცია, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ანალიზი და ა.შ.

შინაარსი

I. ანტიდისკრიმინაციული სამართალი

1. თანასწორობა და დისკრიმინაცია.....	1
2. დისკრიმინაციის ფორმები და სახეები, თანასწორობისა და თავისუფლების ურთიერთმიმართება	4
3. თანასწორობის უფლების დაცვა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა საქართველოში - საკონსტიტუციო სტანდარტი.....	9
4. ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა	12
5. თანასწორობის უფლების დაცვის საკონსტიტუციო მექანიზმები.....	14
6. რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაცია	17
7. სქესობრივი და გენდერული დისკრიმინაცია	23
8. რელიგიური დისკრიმინაცია.....	30
9. პოლიტიკური, ტერიტორიული, ლინგვისტური და „სხვა ნიშნით“ დისკრიმინაცია	34
10. შრომითი დისკრიმინაცია	39
11. ასაკობრივი დისკრიმინაცია, დედათა და ბავშვთა დისკრიმინაცია	43
12. სოციალური და ეკონომიკური დისკრიმინაცია, შშმ პირთა დისკრიმინაცია	48
13. სიძულვილის ენა, ძალადობა და ჩაბვრა, სიძულვილის ენით ჩადენილი დანაშაულები.....	55

II. თანასწორობის უფლების დაცვის სამართლებრივი მექანიზმები

1. დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სამართალწარმოება სამართო სასამართლოებში.....	58
---	----

2. სამოქალაქო და ადმინისტრაციული სარჩელი დისკრიმინაციის თაობაზე.....	60
3. მტკიცების ძვირთის განაწილება დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში	63
4. თანასწორობის უფლების დაცვის სტანდარტი საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში	65
5. კონსტიტუციური სარჩელი თანასწორობის უფლების დაცვის თაობაზე.....	67
6. თანასწორობის უფლების დაცვის სტანდარტი ევროსასამართლოს პრაქტიკაში	69
7. მტკიცების ძვირთი დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ დავებაში ევროსასამართლოში	72
8. საჩივარი დისკრიმინაციის თაობაზე	74
9. სახელმწიფოს მხრიდან კომუნიკაცია, მტკიცებულებები და არგუმენტირებული პასუხი სახელმწიფოს კოფიციანზე	77
10. თანასწორობის უფლების დაცვის ადმინისტრაციული მექანიზმები	79
11. ანგარიშისა და დასკვნის შედგენა დისკრიმინაციის ფაქტზე	81

III. შეგლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების სამართალი

1. შეგლუდული შესაძლებლობის საკითხის სამართლებრივი მოწესრიგება და ისტორიული განვითარება	84
2. შეგლუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია: ისტორია და თეორიული საფუძვლები	87
3. მისაწვდომობა	91
4. დამოუკიდებელი ცხოვრება და თემში ჩართულობა.....	94
5. დისკრიმინაციის აკრძალვა და ინკლუზიური თანასწორობა	98

6. კანონის წინაშე თანასწორობა და მხარდაჭერით გაღიანყვებილების მიღების სისტემა	101
7. მართლმსაჯულების მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის	105
8. მონაწილეობა პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში	108
9. ინკლუზიური განათლების სისტემა.....	111
10. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლება შრომაზე	114
11. გენდერული ძალადობა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებები	117
12. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვა სარისკო და საგანგებო ჰუმანიტარულ სიტუაციებში	121
13. მონიტორინგი და იმპლემენტაცია ეროვნულ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა აქტიური მონაწილეობით.....	124

თანასწორობა და დისკრიმინაცია

განსახილველი თემატიკა

- თანასწორობის უფლების შინაარსი
- თანასწორობის დაცვისა და დისკრიმინაციის აკრძალვის ისტორიული განვითარება – სეგრეგაციიდან თანასწორობამდე
- თანასწორობის პოზიტიური და ნეგატიური გაგება
- თანასწორობის ძირითადი უფლება და თანასწორობა სამოქალაქო ურთიერთობებში
- თანასწორობის უფლების სამართლებრივი საფუძვლები საერთაშორისო სამართალში
- დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისოსამართლებრივი მოწესრიგება
- ანტიდისკრიმინაციული სამართალი ევროპაში

დამატებითი საკითხები

- თანასწორობის პარადიგმა და ბრძოლა თანასწორობისთვის: ისტორიული გამოცდილება
- მონობა და ამერიკული ბრძოლა ემანსიპაციისთვის
- ლინკოლნი და აშშ-ის კონსტიტუციის შესწორებები
- მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი და თანასწორობა უფლებათა სამართლებრივი გარანტიების შექმნის ქრილში (მესამე ტალღის კონსტიტუციები და საერთაშორისოსამართლებრივი აქტები)

- სეგრეგაცია და ამერიკული ბრძოლა სამოქალაქო უფლებებისთვის
- მარტინ ლუთერ კინგი, „მე ვოცნებობ“
- აპარტიდო და სამხრეთ აფრიკელთა გამათავისუფლებელი ბრძოლა
- ნელსონ მანდელა და საზოგადოების ტრანსფორმაცია სამხრეთ აფრიკაში

სავალდებულო ლიტერატურა

- ბექა ძამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თბილისი, 2017, 15-29 გვ., 54-80 გვ.;
- სახელმძღვანელო დიკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, 13-24 გვ.;
- ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საქმეები, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, 2006, 382-387 გვ.;
- Michael Connolly, *The English Judiciary, Discrimination Law and Statutory Interpretation, Easy Cases Making Bad Law*, Routledge, 2019, 56-59 pp.;
- Sandra Fredman, *Discrimination Law*, 2nd Edition, Oxford University Press, 2011, 227-231 pp.;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია;
- ევროკავშირის ძირითად უფლებათა ქარტია;
- საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR);
- საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ (ICESCR).

ლექციისთვის დასამუშავებელი მასალები

- მარტინგ ლუთერ კინგი, მე ვოცნებობ, დ. გეგენავას თარგმანი, წიგნში: საჯარო გამოსვლები და ადამიანის უფლებები, თბილისი, 2017
- ნელსონ მანდელა, მზად ვარ, მოვკვდე, თ. გერლიანი თარგმანი, წიგნში: საჯარო გამოსვლები და ადამიანის უფლებები, თბილისი, 2017
- Nancy L. Clark, William H. Worger, South Africa: The Rise and Fall of Apartheid, Routledge, 2013
- From Comrades to Citizens: The South African Civics Movement and the Transition to Democracy, Edited by Glenn Adler and Jonny Steinberg, Palgrave Macmillan, 2000
- Richard Rothstein, The Color of Law: A Forgotten History of How Our Government Segregated America, New York, 2017

დისკრიმინაციის ფორმები და სახეები, თანასწორობისა და თავისუფლების ურთიერთმიმართება

განსახილველი თემატიკა

- დისკრიმინაციის ფორმები და სახეები
- პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია
- პოზიტიური და ნეგატიური დისკრიმინაცია
- დისკრიმინაციის გამართლების ლეგიტიმური საჯარო მიზნები
- თანასწორობის უფლების მიმართება თავისუფლებასთან
- თანასწორობის უფლების შეზღუდვის გამართლება თავისუფლების სასარგებლოდ
- თავისუფლების უფლების შეზღუდვა თანასწორობის უზრუნველყოფის არგუმენტით

დამატებითი საკითხები

პირდაპირი და არაპირდაპირი დისკრიმინაცია (ევროსასამართლოს პრაქტიკა)

- *Ēcis v. Latvia, 2019*
- *Alexandru Enache v. Romania, 2017*
- *Biao v. Denmark, 2016*
- *Varnas v. Lithuania, 2013*

- *Carson and Others v. the United Kingdom, 2010*
- *Opuz v. Turkey, 2009*
- *Burden v. the United Kingdom, 2008*
- *Sampanis and Others v. Greece, 2008*
- *D.H. and Others v. the Czech Republic, 2007*
- *Bączkowski and Others v. Poland, 2007*
- *Zarb Adami v. Malta, 2006*
- *Hoogendijk v. the Netherlands, 2005*
- *Hugh Jordan v. the United Kingdom, 2001*

პოზიტიური დისკრიმინაცია (ევროსასამართლოს პრაქტიკა)

- *Taddeucci and McCall v. Italy, 2016*
- *Kurić and Others v. Slovenia, 2012*
- *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina, 2009*
- *Muñoz Díaz v. Spain, 2009*
- *D.H. and Others v. the Czech Republic, 2007*
- *Stec and Others v. the United Kingdom, 2006*
- *Thlimmenos v. Greece [GC], 2000*

არაპირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითი

არაპირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითია მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადით გამწესება განუზრჩევლად მოსამართლის სამოსამართლო გამოცდილებისა.¹

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, საერთო სასამართლოების სისტემაში მოსამართლის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნამდე, მოსამართლე თანამდებობაზე 3 წლიანი გამოსაცდელი ვადით გამწესდებოდა. ამ ვადის გასვლის შემდეგ, საქარ-

¹ იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის N3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

თველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შესაბამისი მოსამართლის სამოსამართლო საქმიანობის შეფასების საფუძველზე, იღებდა გადაწყვეტილებას პირის თანამდებობაზე უვადოდ დანიშვნის შესახებ. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, არსებითად უთანასწორო პირები არიან ის კანდიდატები, რომლებსაც მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნამდე არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება ჰქონდათ და ისინი, ვისაც ამგვარი გამოცდილება არ გააჩნდა. იქიდან გამომდინარე, რომ შესაძლებელი იყო მოსამართლეთა წარსული სამოსამართლო გამოცდილების საფუძველზე მათი პრაქტიკული საქმიანობის შეფასება და ამ გზით, მათი თანამდებობისთვის შესაბამისობის დადგენა. საკონსტიტუციო სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევებში, არ არსებობდა დამატებით 3 წლიანი გამოსაცდელი ვადის აუცილებლობა. ამრიგად, ნორმა, არსებითად უთანასწორო პირებს თანასწორად ობიექტური საჭიროების გარეშე ეპყრობოდა.

პირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითი

პირდაპირი დისკრიმინაციის მაგალითია შრომითი ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა ან შრომითი ხელშეკრულების ვადის გახანგრძლივებაზე უარის თქმა, შესასრულებელი სამუშაოს ბუნების, დასაქმებული ქალის ფაქტობრივი შრომისუნარიანობისა და შრომითი პირობების გაუთვალისწინებლად, ორსულობის გამო. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, როდესაც ქალისათვის არახელსაყრელი მდგომარეობის შექმნა განპირობებულია ორსულობასთან ან დეკრეტულ შვებულებასთან დაკავშირებული მიზეზებით, ადგილი აქვს პირდაპირ დისკრიმინაციას, სქესის ნიშნის საფუძველზე, ვინაიდან, ორსულობა მხოლოდ ქალისათვის მიკუთვნებული ბუნებრივი მდგომარეობაა. უფრო მეტიც, ევროპის კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა, სწორედ ქალსა და ორსულობას შორის არსებული პირდაპირი კავშირის გამო, დისკრიმინაციული მოპყრობის სამტკიცებლად აუცილებლად არ მიიჩნევს შესაძარბელი სუბიექტების გამოკვეთას, საკმარისია, რომ ქალისათვის არახელსაყრელი მდგომარეობის შექმნა განპირობებული იყოს ორსულობის ფაქტით.

პოზიტიური ღონისძიებების მაგალითი

პოზიტიური ღონისძიებების მაგალითია სავალდებულო გენდერული საარჩევნო კვოტირების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც დგინდება პოლიტიკური პარტიების მიერ პარტიული სიის ფორმირების პროცესში ქალი კანდიდატების რიცხოვნობის ან პროცენტულად ფიქსირებული რაოდენობით გარანტირებულად გათვალისწინების ვალდებულება. სავალდებულო გენდერული საარჩევნო კვოტირების სისტემა მიზნად ისახავს ქალების ტრადიციული როლის შესახებ საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპული დამოკიდებულებებით გამოწვეული ხელოვნური ბარიერების ნეიტრალიზაციას. ამგვარ ღონისძიებებს, როდესაც მათ შესაბამისი კონსტიტუციური საფუძველი აქვთ, როგორც წესი, არ მიიჩნევა კაცი კანდიდატების მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობად, არამედ განიხილება მექანიზმად პოლიტიკურ სფეროში ქალებისა და კაცებისთვის რეალური, სუბსტანციური თანაბარი უფლებების უზრუნველყოფისათვის.

სავალდებულო ლიტერატურა

- ქეთევან ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, 96-110 გვ.
- ბექა ძამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თბილისი, 2017, 29-38 გვ.;
- სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, 25-40 გვ.
- Tarunabh Khaitan, A Theory of Discrimination Law, Oxford University Press, 2015, 67-86 pp.;
- Sandra Fredman, Direct and Indirect Discrimination: Is There Still a Divide? in: Foundations of Indirect Discrimination Law,

Edited by Hugh Collins and Tarunabh Khaitan, Hart Publishing, 2018, 31-56 pp.;

- Sandra Fredman, *Discrimination Law*, 2nd Edition, Oxford University Press, 2011, 33-37 pp., 166-190 pp.

ლექციისთვის დასამუშავებელი მასალები

- ნონა გელაშვილი, ეთერ ყამარაული, ევროკავშირის სასამართლო პრაქტიკა, თბილისი, 2010, 103-130 გვ.
- *Foundations of Indirect Discrimination Law*, Edited by Hugh Collins and Tarunabh Khaitan, Hart Publishing, 2018
- *Guide on Article 14 of the European Convention on Human Rights and on Article 1 of Protocol No. 12 to the Convention, Prohibition of discrimination*, 31 August 2020

თანასწორობის უფლების დაცვა და დისკრიმინაციასთან ბრძოლა საქართველოში – საკონსტიტუციო სტანდარტი

განსახილველი თემატიკა

- თანასწორობის უფლება საქართველოს კონსტიტუციაში
- დისკრიმინაციის აკრძალვის შედარებითი და ისტორიულ-გენეტიკური ანალიზი
- თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში
- თანასწორობა და დისკრიმინაციის აკრძალვა კვაზისაკონსტიტუციო რეფორმების პერიოდსა და 1995 წლის კონსტიტუციაში
- თანასწორობის უფლების გაგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში
- საკონსტიტუციო სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა დისკრიმინაციის აკრძალვასთან დაკავშირებით

დამატებითი საკითხები

- თანასწორობის უფლების გაგება ქართულ სამართლებრივ სივრცეში
- ფაქტობრივი და სამართლებრივი თანასწორობა
- კანონის წინაშე თანასწორობა v. სამართლის წინაშე თანასწორობა

- თანასწორობის უფლების პოზიტიური გაგება
- დისკრიმინაციის აკრძალვა თანასწორობის უფლების კონტექსტში
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა კონსტიტუციის 1995 წლის თავდაპირველი რედაქციის მე-14 და 38-ე მუხლებთან მიმართებით და მათი განსხვავება დაცული უფლების შინაარსის მიხედვით
- კონსტიტუციის მოქმედი რედაქციის მე-11 მუხლი და მისი გაგება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში

სავალდებულო ლიტერატურა

- ქეთევან ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, 15-52 გვ.; 110-129 გვ.
- ბექა ძამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თბილისი, 2017, 38-51 გვ., 167-171 გვ.;
- საქართველოს კონსტიტუცია.

ლექციისთვის დასამუშავებელი მასალები

- ქეთევან ერემაძე, დემოკრატიის გამოწვევები და საკონსტიტუციო სასამართლოს როლი დემოკრატიის ძიების პროცესში: კანონის წინაშე თანასწორობა როგორც თავისუფლების გარანტია, თბილისი, 2015
- თეიმურაზ ტულუმი, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013, 35-40 გვ.

- ქეთევან ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 165-170 გვ.

ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა

განსახილველი თემატიკა

- ქართული ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა
- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი
- კანონის შინაარსობრივი საკითხები
- დისკრიმინაციის პრევენციის მექანიზმები
- სახალხო დამცველი და სასამართლო, როგორც დისკრიმინაციასთან ბრძოლის სამართლებრივი საშუალება და მათი პრაქტიკულობა.

დამატებითი საკითხები

- თანასწორობისა და დისკრიმინაციის აკრძალვის შინაარსი მემარცხენე და მემარჯვენე იდეოლოგიების მიხედვით
- ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობის შინაარსი იდეოლოგიურ პრიზმაში
- დისკრიმინაციის განმახორციელებელი სუბიექტები: საჯარო და კერძო პირი
- დისკრიმინაციის განმახორციელებელი სუბიექტების დიფერენციაცია ევროპული და ამერიკული ადამიანის უფლებათა სისტემების მიხედვით

სავალდებულო ლიტერატურა

- ბექა ძამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო

რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თბილისი, 2017, 183-212 გვ.;

- „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი.

ლექციისთვის დასამუშავებელი მასალები

- ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, <<https://www.transparency.ge/ge/blog/antidiskriminatsiulikanoni-mightsevebi-da-gamotsvevebi>> [30.01.2021]
- ანტიდისკრიმინაციული კანონი თანასწორობის პოლიტიკისთვის, ჰაინრიხ ბიოლის ფონდი, <https://ge.boell.org/sites/default/files/uploads/2014/06/antidiscrimination_law.pdf> [30.01.2021]
- განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონპროექტზე „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, <<https://info.parliament.ge/file/1/BillReviewContent/152154>> [31.01.2021]

თანასწორობის უფლების დაცვის საკონსტიტუციო მექანიზმები

განსახილველი თემატიკა

- თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის შეფასების საკონსტიტუციო სასამართლოსეული სტანდარტი
- მკაცრი ტესტი და თანაზომიერების პრინციპი
- დისკრიმინაციის ე.წ. კლასიკური ნიშნები
- დისკრიმინაციისა და თანასწორობის უფლებაში ჩარევის ინტენსივობისა და ხარისხის გავლენა მკაცრი ტესტის შერჩევისას
- რაციონალური დიფერენციაციის ტესტის შინაარსი და მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძვლები
- მკაცრი და რაციონალური დიფერენციაციის ტესტების ურთიერთმიმართება
- თანასწორობის უფლებისა და დისკრიმინაციის შეფასების ევროსასამართლოსეული სტანდარტი

დამატებითი საკითხები

- მე-11 მუხლის ე.წ. „კლასიკური“ ნიშნები და მათი შინაარსობრივი დატვირთვა
- „კლასიკურ“ ნიშნებს მიღმა არსებული დისკრიმინაციის კრიტერიუმები, ჩარევის ხარისხისა და ინტენსივობის შეფასება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ
- მკაცრი და რაციონალური ტესტების თანაარსებობის მართებულობა

- შესადარებელ სუბიექტთა წრე და მათი იდენტიფიცირება
- ლეგიტიმური საჯარო მიზანი და მისი განსაზღვრის სპეციფიკა დისკრიმინაციასთან დაკავშირებულ საკონსტიტუციოსამართლებრივ დავაში

სავალდებულო ლიტერატურა

- ქეთევან ერემაძე, ძირითადი უფლებები თავისუფლებისთვის, თბილისი, 2020, 52-96 გვ.;
- ბექა ძამაშვილი, თანასწორობის უფლების პრობლემური ასპექტები თანამედროვე სამართალში და მისი სათანადო რეალიზების ხელშემშლელი გარემოებები საქართველოში, თბილისი, 2017, 171-183 გვ.;
- ქეთევან ერემაძე, ინტერესთა დაბალანსება დემოკრატიულ საზოგადოებაში, თბილისი, 2013, 170-186 გვ.

ლექციისთვის დასამუშავებელი მასალები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ბესიკ ადამია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 13 ნოემბრის გადაწყვეტილება N2/5/556 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ია უჯმაჯურიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 11 მაისის გადაწყვეტილება N2/3/663 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 23 მაისის გადაწყვეტილება N2/3/591 საქმეზე, „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „თავისუფალი სა-

ქართველო“ და „ახალი მემარჯვენეები“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება N2/4/532,533 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“
- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ტრისტან მამაგულაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“

6

რასობრივი და ეთნიკური დისკრიმინაცია

განსახილველი თემატიკა

- რასობრივი დისკრიმინაციის ნიშნები და ფორმები
- რასობრივი დისკრიმინაციის გამოვლენა და მასთან ბრძოლის მექანიზმები
- რასობრივი დისკრიმინაციის პრევენცია
- ეთნიკური დისკრიმინაციის ნიშნები და გამოვლენა
- ეთნიკურ დისკრიმინაციასთან ბრძოლის რეპრესიული და პრევენციული სამართლებრივი მექანიზმები
- რასობრივ და ეთნიკურ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული პრაქტიკა

დამატებითი საკითხები

- დრედ სკოტის საქმე და მისი მნიშვნელობა
- პლესი ფერგიუსონის წინააღმდეგ და თანასწორობის დამახინჯებული გაგება აშშ-ში – „განცალკევებულნი, თუმცა თანასწორნი“
- კორემაცუ შეერთებული შტატების წინააღმდეგ – ეთნიკურობა და წარმომავლობა, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი
- ბრაუნი საგანამნათლებლო საბჭოს წინააღმდეგ – გარდამტეხი მომენტი და მნიშვნელოვანი ნაბიჯი თანასწორობის განმტკიცებისკენ, პრეზიდენტ ეიზენჰაუერის მტკიცე მხარდაჭერა

- როზა პარკის საქმე და სამოქალაქო უფლებათა მოძრაობის გარიჟრაჟი
- ლავინგი ვირჯინიის წინააღმდეგ და რასათშორისი ქორწინების საკითხი
- სტუდენტთა დიფერენციაცია რასობრივი ნიშნით - გრუტერი ბოლინგერის წინააღმდეგ
- ტრამპის საემიგრაციო აკრძალვები და „ტრამპი ჰავაის წინააღმდეგ“

სასამართლო გადაწყვეტილებები (ევროსასამართლო)

- *Abdu v. Bulgaria, 2014*
- *Makhashevy v. Russia, 2012*
- *Fedorchenko and Lozenko v. Ukraine, 2012*
- *B.S. v. Spain, 2012*
- *Turan Cakir v. Belgium, 2009*
- *Sejdić and Finci v. Bosnia and Herzegovina, 2009*
- *Stoica v. Romania, 2008*
- *D.H. and Others v. the Czech Republic, 2007*
- *Sečić v. Croatia, 2007*
- *Nachova and Others v. Bulgaria, 2005*
- *Moldovan and Others v. Romania (no. 2), 2005*
- *Bekos and Koutropoulos v. Greece, 2005*
- *Timishev v. Russia, 2005*

სასამართლო გადაწყვეტილებები (აშშ)

- *Trump v. Hawaii, 585 U.S. (2018)*
- *Grutter v. Bollinger, 539 U.S. 306 (2003)*
- *Loving v. Virginia, 388 U.S. 1 (1967)*
- *Brown v. Board of Education, 347 U.S. 483 (1954)*

განსახილველი კაზუსი (რასა/ეთნიკურობა²)

ბოსნია-ჰერცეგოვინის კონფლიქტის დასასრულს, 1995 წლის 21 ნოემბერს, დაიდო დეიტონის სამშვიდობო ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს სახელმწიფოში მშვიდობის დამყარებას. ხელშეკრულება ძალაში დადებისთანავე შევიდა. მისი მიზანია სამ დაპირისპირებულ ეთნიკურ ჯგუფს – ბოსნიელებს, ხორვატებსა და სერბებს შორის მშვიდობის დამყარება. ხელშეკრულებამ განსაზღვრა ბოსნია-ჰერცეგოვინის საკონსტიტუციო წყობა. ბოსნია-ჰერცეგოვინის კონსტიტუცია ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილია.

კონსტიტუციის თანახმად, ერთმანეთისგან განსხვავდება, ე.წ. „დამფუძნებელი ხალხები“ (ანუ ადამიანები, რომლებიც თავს აკუთვნებენ ბოსნიელებს, ხორვატებსა და სერბებს) და „სხვები“ (ანუ ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები და პირები, რომლებიც შერეული ქორწინების, შერეული ოჯახების ან სხვა მიზეზის გამო, თავს არცერთ კონკრეტულ ჯგუფს მიაკუთვნებენ). პირის ეთნიკური კუთვნილების განსაზღვრა დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ პირის თვითგამორკვევაზე. პირის ეთნიკურობის დასადგენად არ არსებობს ობიექტური კრიტერიუმები, როგორცაა, მაგალითად, კონკრეტული ენის ცოდნა ან კონკრეტული რელიგიისადმი კუთვნილება.

საკონსტიტუციო მოწყობის თანახმად, არსებობს საპარლამენტო ასამბლეა, რომელსაც აქვს ორი პალატა: სახალხო პალატა (ზედა) და წარმომადგენლობითი პალატა (ქვედა); და, ასევე, პრეზიდიუმი. კონსტიტუციის თანახმად, იმ პირებს, ვისაც, არ განუცხადებიათ საკუთარი ეთნიკური კუთვნილება რომელიმე „დამფუძნებელი ხალხისადმი“, არ შეუძლიათ სახალხო პალატისა და პრეზიდიუმის წევრობა. პრეზიდიუმი სამი წევრისგან შედგება: ფედერაციიდან პირდაპირი წესით არჩეული ერთი ბოსნიელი და

² მოცემული კაზუსი შედგენილია საქმის, *სეჯდიჩი და ფინცი ბოსნია-ჰერცეგოვინის წინააღმდეგ*,

<http://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-96491>.

ერთი ხორვატი; და სერბული რესპუბლიკიდან პირდაპირი წესით არჩეული ერთი სერბი.

აღნიშნულის შეზღუდვის ლეგიტიმურ მიზნად ბოსნია-ჰერცეგოვინა წლებია ასახელებს მონოეთნიკურ პოლიტიკურ სპექტრს, მონოეთნიკური პარტიების სიმრავლესა და ქვეყანაში ჯერ კიდევ უმრავლესობის მმართველობისთვის მოუმნიფებელ პოლიტიკურ რეალობას. ამასთან, სახელმწიფო აცხადებს, რომ იგი თავისი საკონსტიტუციო სისტემის არჩევაში სარგებლობს შეფასების თავისუფლებით იმ სამართლებრივი წესრიგის დასადგენად, რომელიც განსაზღვრავს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არჩევის წესსა და შემადგენლობას; და რომ შესაბამისი მოწესრიგება განსხვავდება თითოეული სახელმწიფოს ისტორიული, სოციალური და პოლიტიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ამასთან, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის მოქალაქეებს, რომლებიც „სხვების“ ჯგუფს მიაკუთვნებენ თავს, უფლება აქვთ, კენჭი იყარონ ბოსნიისა და ჰერცეგოვინის წარმომადგენლობითი პალატის არჩევნებში და სუბიექტების საკანონმდებლო ორგანოებში.

ბოსნია და ჰერცეგოვინას მოქალაქე ბოშა და ებრაელ პირებს, სურთ, არჩეულ იყვნენ სახალხო პალატაში, ან პრეზიდენტში. მიუხედავად ხსენებული პოზიციების დასაკავებლად კანდიდატისთვის საჭირო კანონით დადგენილი ყველა კრიტერიუმის დაკმაყოფილებისა, მათ უარი ეთქვათ კანდიდატად რეგისტრაციაზე იმაზე მითითებით, რომ მათი ეთნიკურობა არ მიეკუთვნებოდა „დამფუძნებელი ხალხის“ ეთნიკურობას.

განსახილველი კაზუსი (წარმომავლობა³)

კონსტანტინი დაიბადა 1996 წელს ალჟირში, ალჟირელი დედისა და მამის ოჯახში. მისი დაბადებიდან მალევე, მამა სამუშაოდ ბელგიაში წავიდა, ხოლო კონსტანტინი და დედა მას ორი წლის

³ მოცემული კაზუსი შედგენილია საქმის, *Moustaquim v. Belgium*, მიხედვით.

შემდეგ, 1998 წელს შეუერთდნენ. კონსტანტინმა ბელგიაში ბინადრობის ნებართვის საფუძველზე 2017 წლამდე იცხოვრა. ამ პერიოდში მისი ოჯახი გაფართოვდა, რვა და-ძმა ბელგიაში დაიბადა და გაიზარდა. ამასთან, მისმა უმცროსმა დამ ბელგიის მოქალაქეობაც კი მიიღო.

2012 წელს, როდესაც კონსტანტინი 14 წლის იყო, ქურდობის ბრალდებით გასამართლდა. მან ორი წლის განმავლობაში მოიხადა საპატიმრო სასჯელი და 2014 წელს გათავისუფლდა. 2015 წელს ისევ ჩაიღინა ქურდობა, რისთვისაც, კვლავ 2 წლიანი საპატიმრო სასჯელი შეეფარდა. იგი პენიტენციური დაწესებულებიდან 2017 წლის აგვისტოში გათავისუფლდა. თუმცა, 2017 წლის ივნისში ეცნობა, რომ იუსტიციის სამინისტროს გადაწყვეტილებით, გათავისუფლებისთანავე მოუწევდა ქვეყნის დატოვება 10 წლის ვადით. გადაწყვეტილებას თან ერთვოდა ბრძანება დეპორტაციის შესახებ, რომელშიც დასაბუთებული იყო, რომ ბატონი კონსტანტინის განმეორებითი კრიმინალური ქცევის გამო, მას ქვეყანა უნდა დაეტოვებინა.

ბატონი კონსტანტინი მიიჩნევს, რომ დეპორტაციის შესახებ გადაწყვეტილება დისკრიმინაციულია, ვინაიდან, კანონმდებლობის თანახმად, განმეორებითი სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების ჩადენის შემთხვევაში, არც ბელგიის და არც ევროკავშირის წევრი სხვა ქვეყნების მოქალაქეებს მსგავსი დამატებითი სასჯელი/ლონისძიება (დეპორტის სახით) არ ემუქრებოდათ, შესაბამისად, მისი მტკიცებით, მის მიმართ განხორციელდა განსხვავებული მოპყრობა მისი მოქალაქეობის/წარმომავლობის გამო.

სავალდებულო ლიტერატურა

- „იბრაჰიმა გუე და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ“, N196/1985, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საქმეები, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, 2006, 407-412 გვ.;

- საერთაშორისო კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (ICERD).
- Sandra Fredman, *Discrimination Law*, 2nd Edition, Oxford University Press, 2011, 50-69 pp.

ლექციისთვის დასამუშავებელი მასალები

- ირაკლი კარიჭაშვილი, დრედ სკოტის საქმე, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N2, 2018
- მარიამ გაგოშიძე, ნინო მუხადგვერდელი, ბრაუნი საგანმანათლებლო საბჭოს წინააღმდეგ, წიგნში: რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტ. II, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2021
- Guide on Article 14 of the European Convention on Human Rights and on Article 1 of Protocol No. 12 to the Convention, Prohibition of discrimination, 31 August 2020
- Amendment XIII, Abolishing Slavery, Edited by Tracey Biscontini and Rebecca Sparling, Greenhaven Press, 2009
- Amendment XIV, Citizenship for All, Edited by Jeff Hay, Greenhaven Press, 2009
- Erna Appelt, Monika Jarosch, *Combating Racial Discrimination: Affirmative Action as a Model for Europe*, Berg, 2000

სქესობრივი და გენდერული დისკრიმინაცია

განსახილველი თემატიკა

- სქესობრივი დისკრიმინაციის ფორმა და ნიშნები
- სქესი, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი
- სქესის, სექსუალური ორიენტაციისა და გენდერის ურთიერთმიმართება
- გენდერული ნიშნით დისკრიმინაცია
- სექსუალური ორიენტაცია, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი
- სექსუალური და გენდერული იდენტობა
- სქესობრივი და გენდერული დისკრიმინაციის პრევენციული და რეპრესიული სამართლებრივი მექანიზმები
- სქესობრივ და გენდერულ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საერთაშორისოსამართლებრივი და ევროპული პრაქტიკა

დამატებითი საკითხები

- საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება N2/1/536 საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გორა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ“

სასამართლო გადაწყვეტილებები (ევროსასამართლო)

- *J.D. and A. v. the United Kingdom, 2019*
- *Carvalho Pinto de Sousa Morais v. Portugal, 2017*
- *Sousa Goucha v. Portugal, 2016*
- *Identoba and Others v. Georgia, 2015*
- *Konstantin Markin v. Russia, 2012*
- *E.B. v. France, 2008*
- *Unal Tekeli v. Turkey, 2004*
- *Karner v. Austria, 2003*
- *S.L. v. Austria, 2003*
- *Fretté v. France, 2002*
- *Burghartz v. Switzerland, 1994*
- *Schuler-Zgraggen v. Switzerland, 1993*
- *Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom, 1985*
- *Dudgeon v. UK, 1981*

სასამართლო გადაწყვეტილებები (აშშ)

- *Muller v. Oregon, 208 U.S. 412 (1908)*
- *Reed v. Reed, 404 U.S. 71 (1971)*
- *Taylor v. Louisiana, 419 U.S. 522 (1975)*
- *United States v. Virginia, 518 U.S. 515 (1996)*
- *Oncale v. Sundowner Offshore Services, 523 U.S. 75 (1998)*
- *Romer v. Evans, 517 U.S. 620 (1996)*
- *Lawrence v. Texas, 539 U.S. 558 (2003)*
- *Obergefell v. Hodges, 576 U.S. ____ (2015)*
- *Bostock v. Clayton County, 590 U.S. ____ (2020)*
- *R.G. & G.R. Harris Funeral Homes Inc. v. Equal Employment Opportunity Commission, 590 U.S. ____ (2020)*

- *Altitude Express, Inc. v. Zarda, 590 U.S. (2020)*

განსახილველი კაზუსი (სქესი⁴)

კანონმდებლობა, მცირეწლოვან ბავშვზე ზრუნვის მიზნით, ითვალისწინებს სამ წლამდე დეკრეტულ შვებულებას და შესაბამის ყოველთვიურ ანაზღაურებას ორივე მშობლისთვის. ეს უფლება განურჩევლად ვრცელდება ყველა პროფესიის წარმომადგენელზე, გარდა სამხედრო მოსამსახურეებისა. კერძოდ, მხოლოდ ის სამხედრო მოსამსახურეებს შეუძლიათ ისარგებლონ ბავშვის მოვლის მიზნით დაწესებული 3 წლიანი დეკრეტული შვებულებითა და ანაზღაურებით, რომლებიც არიან მდედრობითი სქესის. ეროვნული კანონმდებლობით, მამრობითი სქესის სამხედრო მოხელეებს ეს უფლება სრულად შეზღუდული აქვთ. კანონის განმარტებით ბარათში მითითებულია, რომ ხსენებული შეზღუდვა ეფუძნება მამრობითი სქესის სამხედრო პირების განსაკუთრებულ სამართლებრივ სტატუსსა და მათი მომსახურების აუცილებლობის დადგომის მუდმივ სავარაუდო საჭიროებას. ასევე, განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ, როდესაც მამრობითი სქესის სამხედრო მოსამსახურეები ნებაყოფლობით იღებენ სამხედრო პასუხისმგებლობას, ისინი ეთანხმებიან შრომითსამართლებრივ ხელშეკრულებას სახელმწიფოსა და მათ შორის, შესაბამისად, სრულად აცნობიერებენ მათ სამსახურთან დაკავშირებულ გარემოებებს. ამასთან, კანონმდებლობა უშვებს, რომ, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ სამხედროს აქვს უფლება, ხელშეკრულებით დაწესებულ ვადაზე ადრე შეწყვიტოს სამხედრო სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება. ამისთვის მათ რაიმე სახის სანქცია არ ეკისრებათ. დამატებით, განმარტებითი ბარათი აღნიშნავს, რომ მხოლოდ მდედრობითი სქესის სამხედრო მოსამსახურეებისთვის დეკრეტული შვებულებისა და შესაბამისი ანაზღაურების უფლება განპირობებულია საგამონაკლისო წესით,

⁴ მოცემული კაზუსი შედგენილია საქმის, *კონსტანტინ მარკინი რუსეთის წინააღმდეგ*, მიხედვით.

იმის გათვალისწინებით, რომ ქალების პროცენტული ჩართულობა სამხედრო სამსახურში მნიშვნელოვნად ნაკლებია მამაკაცებისაზე, და, ასევე, მათ ეკისრებათ განსაკუთრებული როლი ბავშვების აღზრდაში.

განსახილველი კაზუსი (სექსუალური ორიენტაცია⁵)

ჰომოსექსუალ წყვილს, რომელიც უკვე 10 წელზე მეტია სტაბილურ ურთიერთობაშია, ცხოვრობენ ერთად და ეწევიან საოჯახო სამეურნეო საქმიანობას, სურს მათი ურთიერთობის სამართლებრივი აღიარება. აღნიშნული მოთხოვნით მიმართეს სერვისების განვითარების სააგენტოს, რომელმაც მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. სააგენტომ მიუთითა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი. წყვილმა სააგენტოს უარი საერთო სასამართლოში გაასაჩივრა იმაზე მითითებით, რომ მათი მიზანი არ იყო *a priori* ქორწინება, არამედ სახელმწიფოს უნდა უზრუნველყო ქორწინების ალტერნატიული საშუალება, როგორც არის, მაგალითად, სამოქალაქო ერთობა ან რეგისტრირებული პარტნიორობა, ხოლო, თუ აღნიშნულს ვერ უზრუნველყოფდა, ქორწინების ცნება უნდა გაევერცელებინა მათზეც.

სასამართლომ გაიმეორა სააგენტოს დასაბუთება და მიუთითა, რომ სამოქალაქო კოდექსი ქორწინებას მხოლოდ განსხვავებული სქესის მქონე ადამიანებს შორის განიხილავდა. დამატებით, სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლით გარანტირებული ქორწინების ცნება არ ვრცელდება ჰომოსექსუალ პირებზე და შესაბამისად, ამ მუხლის მიზანია, არ დაუშვას ჰომოსექსუალ პირებს შორის არა მხოლოდ ქორწინება, არამედ ნებისმიერი სახის სამოქალაქო კავშირი. ამის დასტურად სასამართლომ ის არგუმენტი მოიყვანა, რომ საკონსტიტუციო

⁵ მოცემული კაზუსი შედგენილია საქმის, *ოლიარი და სხვები იტალიის წინააღმდეგ*, მიხედვით.

ცვლილებით ამ ნორმის კონსტიტუციაში ჩანერის *travaux preparatoires* ადასტურებდა იმას, რომ ქართული საკონსტიტუციო წყობილება მიზნად არ ისახავდა ოჯახის ტრადიციული გაგების გაფართოებას.

წყვილმა სარჩელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა. მათთვის პრობლემა არის ის, რომ საქართველოს კანონმდებლობა წყვილს შორის სამართლებრივ კავშირს მხოლოდ კაცსა და ქალს შორის არსებულ კავშირად განმარტავს, და არ უშვებს ჰომოსექსუალი წყვილების ურთიერთობის აღიარების სხვა, ალტერნატიული სამართლებრივი საშუალების არსებობას. მოპასუხე მხარის, საქართველოს პარლამენტის განმარტებით, ერთნაირი სქესის მქონე წყვილების სამართლებრივი აღიარება პარლამენტის ექსკლუზიურ დისკრეციულ უფლებამოსილებაა და სარჩელი დაუშვებლად უნდა იქნეს ცნობილი.

განსახილველი კაზუსი (გენდერული იდენტობა)

ტრანსგენდერმა კაცმა, რომელიც ტრანსგენდერ ქალზე დაქორწინებას გეგმავდა, ერთ-ერთ ცნობილ მოდის სახლს მისთვის და მისი პარტნიორისათვის სპეციალური დიზაინის საქორწინო კოსტიუმების დამზადების შეკვეთით მიმართა, რომელიც ვარდისფერი და ცისფერი ფერების სინთეზით იქნებოდა შექმნილი. მოდის სახლის მესაკუთრემ, რომელიც ერთ-ერთი რელიგიის ღრმადმორწმუნე წარმომადგენელი იყო, კლიენტს განუმარტა, რომ ვერ შექმნიდა საქორწინო კოსტიუმებს ტრანსგენდერი პირებისათვის, საკუთარი რელიგიური მრწამსის გამო, თუმცა, შეეძლო მაღაზიაში უკვე არსებული ნებისმიერი საქორწინო კოსტიუმის შექმნა.

ტრანსგენდერმა წყვილმა მიმართა სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ მოდის სახლის მესაკუთრის მხრიდან ადგილი ჰქონდა მათ მიმართ დისკრიმინაციულ მოპყრობას, რამდენადაც ვერ შეძლეს საჯაროდ ხელმისაწვდომი მომსახურების მიღება საკუთარი გენდერული კუთვნილების გამო, რასაც დისკრიმინაციის სფეროში მოქმედი კანონმდებლობა კრძალავს. მოდის სახლის მესაკუთრე მიუთითებს, რომ მოსარჩელეებს შეეძლოთ

მოდის სახლში არსებული მზა პროდუქციის შექმნა, სპეციალური დიზაინით კოსტიუმების შექმნა კი მისი ინტელექტუალური შრომის შედეგია, რომლის უმთავრესი შთაგონების წყარო სწორედ მისი რელიგიაა. თავის მხრივ, აღნიშნული რელიგია კატეგორიულად ეწინააღმდეგება ღმერთის მიერ ადამიანებისათვის ბუნებრივად მინიჭებული სქესის შეცვლას, ამგვარი ადამიანების ქორწინება კი ლახავს ამ რელიგიით აღიარებულ ქორწინების საიდუმლოს. ამასთან, მოდის სახლის მესაკუთრე დამატებით მიუთითებს იმ გარემოებაზეც, რომ კერძო სფეროში მოქმედი პირისათვის მსგავსი ვალდებულების დაკისრება სახელმწიფოს მხრიდან სახელშეკრულებო თავისუფლების ხელყოფა იქნება. შესაბამისად, მოპასუხე მიიჩნევს, რომ მისი რელიგიის თავისუფლების უფლება გადაწონის მოსარჩლეების დისკრიმინაციისაგან დაცვის უფლებას.

სავალდებულო ლიტერატურა

- სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, 96-108 გვ., 158-164 გვ.;
- მარინა კვაჭაძე, ელენე ღვინჯილია, ნათია ჯუღელი, დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, თბილისი, 2017, 45-61 გვ.;
- „სანდრა ლავლეისი კანადის წინააღმდეგ“, N24/1977, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საქმეები, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, 2006, 444-448 გვ.;
- კონვენცია ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW).
- Sandra Fredman, *Discrimination Law*, 2nd Edition, Oxford University Press, 2011, 38-50 pp., 73-93 pp.

ლექციისთვის დასამუშავებელი მასალები

- ეთერ შიუკაშვილი, მტკიცების სტანდარტი გენდერული ნიშნით დისკრიმინაციაზე საჯაროსამართლებრივ დავაში, ჟურნ. “Magister Legum”, N1, 2020
- თეიმურაზ ტულუში, გიორგი ბურჯანაძე, გიორგი მშვენიერაძე, გიორგი გოცირიძე, ვახუშტი მენაბდე, ადამიანის უფლებები და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართალწარმოების პრაქტიკა, თბილისი, 2013
- European Union Non-Discrimination Law and Intersectionality Investigating the Triangle of Racial, Gender and Disability Discrimination, Edited by DaGmar Schiek and Anna Lawson, Ashgate, 2011
- Guide on Article 14 of the European Convention on Human Rights and on Article 1 of Protocol No. 12 to the Convention, Prohibition of discrimination, 31 August 2020

რელიგიური დისკრიმინაცია

განსახილველი თემატიკა

- რელიგიური დისკრიმინაციის ფორმა და ნიშნები
- რელიგია და რელიგიური მიმდინარეობა, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი
- აღმსარებლობის ინდივიდუალური და ჯგუფური უფლების დარღვევა
- რწმენის სტიგმატიზაცია, რელიგიური შეხედულებები, როგორც დისკრიმინაციის ნიშანი
- რელიგიურ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო და ევროპული სასამართლო პრაქტიკა.

დამატებითი საკითხები

- რელიგიური ტანისამოსი, ემანსიპაცია და დისკრიმინაციის საკითხები
- რელიგიური რიტუალები და სტიგმატიზაცია საზოგადოებაში
- თავსაბურავების საქმე
- რელიგიური უმრავლესობა და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა თანასწორობის კონტექსტში
- რელიგიისა და სახელმწიფო ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები, დისკრიმინაციის აკრძალვა და თანასწორობის უზრუნველყოფის მექანიზმები
- რელიგიური ორგანიზაციების დაფინანსება, შეღავათები და დისკრიმინაციის პრევენცია

- რელიგიური ორგანიზაციების უფლებები, ამერიკული და ევროპული მიდგომები
- პროზელიტიზმი და არათანაბარი მიდგომები რელიგიური ორგანიზაციების პროზელიტიზმისადმი
- ინდოქტრინაცია, ბავშვები და დისკრიმინაციის აკრძალვა
- რელიგიის შესახებ სწავლება და მოსაწავლეთა თანასწორობის უფლების უზრუნველყოფა

სასამართლო გადაწყვეტილებები (ევროსასამართლო)

- *Molla Sali v. Greece*, 2018
- *Izzettin Doğan and Others v. Turkey*, 2016
- *S.A.S. v. France*, 2014
- *Eweida and Others v. the United Kingdom*, 2013
- *Church of Scientology Moscow v. Russia*, 2007
- *Members of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses and Others v. Georgia*, 2007
- *Moscow Branch of the Salvation Army v. Russia*, 2006
- *Metropolitan Church of Bessarabia and Others v. Moldova*, 2001
- *Alujer Fernández and Caballero García v. Spain*, 2001
- *Hasan and Chaush v. Bulgaria*, 2000
- *Cha'are Shalom Ve Tsedek v. France*, 2000
- *Manoussakis and Others v. Greece*, 1996

სასამართლო გადაწყვეტილებები (აშშ)

- *Everson v. Board of Education*, 330 U.S. 1 (1947)
- *Lemon v. Kurtzman*, 403 U.S. 602 (1971)
- *Employment Division v. Smith*, 494 U.S. 872 (1990)
- *Lee v. Weisman*, 505 U.S. 577 (1992)
- *Masterpiece Cakeshop v. Colorado Civil Rights Commission*, 584 U.S. ____ (2018)

განსახილველი კაზუსი

მსოფლიოში გავრცელებული ვირუსული ინფექციის პანდემიასთან საბრძოლველად, რომელიც მაღალი გადაცემადობით და საშუალო სიკვდილიანობით ხასიათდება, სახელმწიფომ სავალდებულო ვაქცინაციის პროგრამა შეიმუშავა სკოლის მოსწავლეებისათვის, რომელიც ამ სახელმწიფოში მცხოვრებ სავალდებულო ვაქცინაციას დაქვემდებარებულ თითოეულ მოსწავლეზე თანაბრად გავრცელდა. პირებმა, რომლებიც ერთ-ერთი რელიგიური დენომინაციის წარმომადგენლები იყვნენ, რელიგიური მოტივით, უარი განაცხადეს თავიანთი არასრულწლოვანი სკოლის მოსწავლე შვილების სავალდებულო აცრაზე, რამაც ამ პირების დაჯარიმება, ხოლო შვილებისათვის სასწავლო პროცესზე დასწრების შეზღუდვა გამოიწვია.

პირებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს სავალდებულო ვაქცინაციის პროგრამის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით. მოსარჩელების მტკიცებით, სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ყველა ვაქცინა შეიცავს ნიმუშს, რომელიც ადამიანებში გენეტიკურ მუტაციას განაპირობებს და ტოტალური კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული კი პირდაპირ უკავშირდება მათ რელიგიაში არსებულ წინასწარმეტყველებას უფლებათა საერთაშორისო სამართალი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, თბილისი, 2004

- დიმიტრი გეგენავა, ეკლესია-სახელმწიფოს ურთიერთობის სამართლებრივი მოდელები და საქართველოს კონსტიტუციური შეთანხმება, თბილისი, 2018
- მარიამ გაგოშიძე, ნინო მუხადგვერდელი, ნამცხვარი, ქორწინება და კოლორადოს სამოქალაქო უფლებათა კომისია: სასამართლო გადაწყვეტილების ანალიზი, ჟურნ. „სამართლის მეთოდები“, N3-2019

პოლიტიკური, ტერიტორიული, ლინგვისტური და „სხვა ნიშნით“ დისკრიმინაცია

განსახილველი თემატიკა

- პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია
- ტერიტორიული და ადგილის ნიშნით დისკრიმინაცია
- დისკრიმინაციის ლინგვისტური და „სხვა“ ნიშნები
- დისკრიმინაციის ამ სახეებთან ბრძოლა და პრევენციის მექანიზმები
- საერთაშორისო და ევროსასამართლოს პრაქტიკის მიმოხილვა.

დამატებითი საკითხები

- სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების ურთიერთმიმართება თანასწორობის ძირითად უფლებასთან
- პოლიტიკური და სხვა შეხედულებები, როგორც დისკრიმინაციის საფუძველი
- ტერიტორიული და ურბანული დისკრიმინაციის თავისებურებები
- ლინგვისტური და კულტურული კუთვნილება და დისკრიმინაცია
- დისკრიმინაციის „სხვა“ ნიშნების ევროსასამართლოსეული კლასიფიკაცია
- მიგრაცია და მიგრანტთა დისკრიმინაცია

სასამართლო გადაწყვეტილებები (ევროსასამართლო და ევროკომისია)

ენა და ლინგვისტური ნიშანი

- *Macalin Moxamed Sed Dahir v. Switzerland*, 2015
- *Igors Dmitrijevs v. Latvia*, 2006
- *Association "Andecha Astur" v. Spain*, 1997
- *Pahor v. Italy*, 1994,
- *Fryske Nasjonale Partij and Others v. the Netherlands*, 1985
- *Isop v. Austria*, 1962

პოლიტიკური ნიშანი

- *Virabyan v. Armenia*, 2012
- *Georgian Labour Party v. Georgia*, 2008
- *Kurski v. Poland*, 2016
- *Oran v. Turkey*, 2014
- *Adalı v. Turkey*, 2005
- *Handyside v. the United Kingdom*, 1976

იმიგრანტთა დისკრიმინაცია

- *Hode and Abdi v. the United Kingdom*, 2012
- *Bah v. the United Kingdom*, 2011
- *Ponomaryovi v. Bulgaria*, 2011
- *Anakomba Yula v. Belgium*, 2009

„სხვა სტატუსთან“ დაკავშირებული დისკრიმინაციის არასისტემატიზებული შემთხვევები

- *Chaldayev v. Russia*, 2019
- *Baralija v. Bosnia and Herzegovina*, 2019
- *Aleksandr Aleksandrov v. Russia*, 2018
- *Granos Organicos Nacionales S.A. v. Germany*, 2012
- *Özgürlük ve Dayanışma Partisi (ÖDP) v. Turkey*, 2012
- *Maggio and Others v. Italy*, 2011
- *Stummer v. Austria*, 2011

- *Laduna v. Slovakia*, 2011
- *Clift v. the United Kingdom*, 2010
- *Carson and Others v. the United Kingdom*, 2010
- *Danilenkov and Others v. Russia*, 2009
- *Grande Oriente d'Italia di Palazzo Giustiniani v. Italy (no. 2)*, 2007

განსახილველი კაზუსი (პოლიტიკური ნიშნით დისკრიმინაცია)

პირმა, რომელიც პოლიტიკური მეცნიერების დოქტორი და რამდენიმე უნივერსიტეტის ლექტორია, შეიმუშავა ვიდეო პოდკასტების სერია, რომლებშიც მხარდაჭერას უცხადებდა ნაციონალური პარტიის იდეოლოგიას, გამოთქვამდა ანტიემიგრაციულ მოსაზრებებსა და ჰოლოკოსტის უარყოფელ რეპლიკებს. სახელმწიფომ, რამდენადაც მიიჩნია, რომ ამ პირის მოსაზრებები ებრაელთა რასობრივი ცილისწამებისა და მათდამი სიძულვილის ერთ-ერთი სერიოზული გამოხატულება იყო, კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიიღო გადაწყვეტილება ვიდეო პოდკასტების დაბლოკვის, ინტერნეტსივრცეიდან ამოღებისა და პირის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის შესახებ. ამავდროულად, იგი გაათავისუფლეს უნივერსიტეტში დაკავებული თანამდებობიდან.

პირმა მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს იმ მოტივით, რომ ადგილი ჰქონდა მის მიმართ, მათ შორის, დისკრიმინაციულ მოპყრობასა და დევნას, პოლიტიკური შეხედულების საფუძველზე. ამასთან, მოსარჩელის პოზიციით, სხვა, როგორც თანამედროვე, ისე, მათ შორის, კომუნიტური იდეოლოგიის შემცველი პოლიტიკური მოსაზრებების გავრცელება არ იკრძალება და გამავრცელებლისთვის არც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ინვესს, რაც, დამატებით, მიუთითებს მის მიმართ არსებულ დისკრიმინაციულ მოპყრობაზე. სახელმწიფოს პოზიციით, მოსარჩელის პოდკასტში გამოხატული შეხედულებები, საკუთარი შინაარსის გათვალისწინებით, არ განეკუთვნება აზრს, არამედ სიძულვილის ენის გამოხატულებაა. შესაბამისად, იგი არაა რაიმე თვალ-

საზრისით დაცული უფლება და ვერც მისით სარგებლობის პროცესში განხორციელდება დისკრიმინაციული მოპყრობა.

სავალდებულო ლიტერატურა

- სახელმძღვანელო დისკრიმინაციის აკრძალვის ევროპული სამართლის შესახებ, ევროპის საბჭო, 2013, 113-117 გვ., 120-122 გვ., 123-126 გვ., 165-167 გვ., 171-172 გვ.;
- მარინა კვაჭაძე, ელენე ღვინჯილია, ნათია ჯუღელი, დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო სტანდარტების ასახვა ეროვნულ სასამართლო პრაქტიკაში, თბილისი, 2017, 71-74 გვ.;
- Sandra Fredman, *Discrimination Law*, 2nd Edition, Oxford University Press, 2011, 69-73 pp.;
- „შირინ აუმურუდი-ჩიფრა და სხვები მავრიკის წინააღმდეგ“, N35/1978, ადამიანის უფლებათა კომიტეტის მიერ განხილული ძირითადი საქმეები, ადამიანის უფლებათა ინსტიტუტი, 2006, 387-393 გვ.;
